ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6139445

ნომერი: AR1924062

თარიღი : 20.09.2022

გაცემის თარიღი : 27.09.2022

გაცნობის თარიღი : 28.09.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კოსმონავტების სანაპირო N91;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ჯანიაშვილი პ/ნ 01017033100
- თბილისი ი.გოგებაშვილის I გას. N 25

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

2022 წლის 20 სექტემბრის №AR1924062 განცხადებასთან დაკავშირებით დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის განსაზღვრის შესახებ
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 20 სექტემბრის №AR1924062 განცხადებით მომართა გიორგი ჯანიაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2022 წლის 04

ივლისის №6018951 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2022 წლის 04 ივლისის №6018951 ბრძანებით შეთანხმდა ქალაქ თბილისში, კოსმონავტების სანაპირო №91-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.13.04.017.096) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (III და IV ბლოკები) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. აღნიშნული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე მშენებლობის ნებართვის გაცემა არ მომხდარა.
განმცხადებლის განმარტებით სამსახურის 2022 წლის 04 ივლისის №6018951 ბრძანებით შეთანხმებულ -3.00 და -6.00 ნიშნულის გეგმებზე დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, განმცხადებელს სურს სამსახურის 2022 წლის 04 ივლისის №6018951 ბრძანებით შეთანხმებული შიდა ავტოსადგომების ფართობის გასწორება და ღია ავტოსადგომების ფართობის ცალკე ფართობად დაფიქსირება. ასევე, სურს ავტოსადგომების ნუმერაციის შეცვლა.
დოკუმენტაციის გადმოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ წარმოდგენილი -3.00 და -6.00 ნიშნულის გეგმებიდან დგინდება, რომ შეთანხმებულთან მიმართებით შეცვლილია ავტოსადგომების ნუმერაცია და გადაადგილებულია ავტოსადგომები (მაგ.: სამსახურის 2022 წლის 04 ივლისის №6018951 ბრძანებით შეთანხმებულ -6.00 ნიშნულის (-2 სართული) გეგმაზე მდებარეობს №9 შიდა ავტოსადგომი, ხოლო, წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილ -6.00 ნიშნულის გეგმაზე №9 შიდა ავტოსადგომის ადგილას მდებარეობს №7 შიდა ავტოსადგომი).
მაგალითისთვის, ასევე, აღსანიშნია რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განცხადების რეგისტრაცია: №882021689289; მომზადების თარიღი: 16/08/2021 წ.) №63 შიდა ავტოსადგომი მდებარეობს -1 სართულზე (-3.00 ნიშნული), ხოლო, წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილი გეგმების მიხედვით №63 შიდა ავტოსადგომი მდებარეობს -2 სართულზე (-6.00 ნიშნული). ამასთან, მოთხოვნის ტექსტში ერთობლივად არის მითითებული -3.00 და -6.00 ნიშნულების გეგმებზე მდებარე ოთხივე ბლოკის შიდა და ღია ავტოსადგომების რაოდენაობა და არ არის დაზუსტებული მოთხოვნა მხოლოდ III და IV ბლოკების შიდა ავტოსადგომების და საერთო ფართობებთან და ღია ავტოსადგომების ჯამურ ფართობთან დაკავშირებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია ან ინფორმაცია.
აქედან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია შესწორებული დოკუმენტაციის წარმოდგენა.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1.დაევალოს განმცხადებელს 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს სამსახურის 2022 წლის 04 ივლისის №6018951 ბრძანებით შეთანხმებული -3.00 და -6.00 ნიშნულის გეგმების იდენტური -3.00 და -6.00 გეგმები ავტოსადგომების ნუმერაციის ცვლილების და ავტოსადგომების გადაადგილების გარეშე. შესაძლებელია მხოლოდ III და IV ბლოკების შიდა ავტოსადგომების და საერთო ფართობების და ღია ავტოსადგომების ჯამურ ფართობთან დაკავშირებით კვადარტულობების დაზუსტება.
2. ბრძანების პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში 2022 წლის 20 სექტემბრის №AR1924062 განცხადება დარჩეს განუხილველი.
3.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.